1.ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე სატვირთო მომსახურების პირობებით (შემდგომში "პირობები") განისაზღვრება ტერმინალის მიერ გემისათვის სატერმინალო მომსახურების გაწევის წესები;
2. პირობები განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს და სხვა სახის პირობებს სატერმინალო მომსახურების პროცესში;
3. სატვირთო მომსახურების თაობაზე შეკვეთის მიღება ხდება წერილობითი შეთანხმების გაფორმების მეშვეობით (სატვირთო მომსახურების შეკვეთა - სმშ).
4. სატვირთო მომსახურების შეკვეთის გაფორმების უფლება აქვს საწარმოს მმართველ დირექტორსა და მარკეტინგის მენეჯერს;

2. ტერმინთა განმარტება

1. წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
ა) **"შემსრულებელი"** – შპს "ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი";
ბ) **"შემკვეთი"** – სატვირთო მომსახურების შემკვეთი ფიზიკური თუ იურიდიული პირი;
გ) **მხარეები** – შემსრულებელი და შემკვეთი;
დ) **სატვირთო მომსახურების შეკვეთა (სმშ)** – წინამდებარე პირობების საფუძველზე შემსრულებელსა და შემკვეთს შორის გაფორმებული წერილობითი შეთანხმება სატვირთო მომსახურების განხორციელების თაობაზე;
ე) **ხელშეკრულება** – სატვირთო მომსახურების შეკვეთა და სხვა სახის შეთანხმება, რომელიც დადებულია მხარეებს შორის წინამდებარე პირობების საფუძველზე სატერმინალო მომსახურების განსახორციელებლად.
ვ) **"ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის საქმიანობის პირობები"** (შემდგომში "საქმიანობის პირობები") – შემსრულებლის მიერ დამტკიცებული წესები, რომელიც მოქმედებს საკონტეინერო ტერმინალის ტერიტორიაზე შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევისას.
2. პირობების საფუძველზე დადებულ სატვირთო მომსახურების შეკვეთაში, ხელშეკრულებასა და სხვა სახის დოკუმენტებში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ წინამდებარე მუხლით დადგენილი მნიშვნელობა თუ თვით აღნიშნული დოკუმენტებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

3. კონფიდენციალობა

1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების პროცესში ერთმანეთისათვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია, დოკუმენტაცია და სხვა ცნობები, რომლებიც წარმოადგენენ კომერციულ ფასეულობას, მიუხედავად იმისა

წერილობითი ფორმის იქნება თუ ზეპირი, ითვლება კონფიდენციალურ ინფორმაციად და არ დაუშვებენ მესამე პირებზე მათ გადაცემას/გაცნობას.

2. ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით, ვიდრე მხარეები არ შეთანხმდებიან მის გაუქმებაზე.

4. სატვირთო მომსახურების პირობები

1. მხარეები თანხმდებიან, რომ სატვირთო ოპერაციებმა არ უნდა შეაფერხოს ტერმინალის ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოები და ტვირთის დამუშავების ოპერაციები;

2. **მხარეებმა** უნდა გაითვალისწინოს ამინდის პირობები, **ტერმინალის** მუშაობის გრაფიკი და სხვა ფაქტორები, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს სატვირთო მომსახურების მიმდინარეობის გრაფიკსა და ხარისხზე;

3. შემკვეთი პასუხისმგებელია ნებისმიერი სახის ზიანსა და ზარალზე, რომელიც შესაძლებელია გამოწვეული იქნეს სამუშაოთა თავისი ბრალით შეფერხებით/შეჩერებით.

5. მხარეთა ვალდებულებები

1. მხარეთა ვალდებულებები, უფლებები და პასუხისმგებლობა განისაზღვრება "საქმიანობის პირობებით".

2. შემკვეთმა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ტერმინალს ოპერაციების დასაწყებად გემის მზადყოფნასთან დაკავშირებით.

3. მხარეებმა უნდა იქონიონ შეუწყვეტელი კავშირი გემის ოპერაციების მიმდინარეობისას 24 საათის განმავლობაში.

4. შემკვეთი და ნებისმიერი პირი, რომელიც მოქმედებს შემკვეთის სახელით, ვალდებულია დაიცვას საპორტო და სატერმინალო წესები, რომელიც დაკავშირებულია მოძრაობასთან, უსაფრთხოებასთან და პასუხისმგებელნი არიან შედეგებზე, რომელიც შესაძლებელია მოყვეს აღნიშნული წესების დარღვევას.

5. შემკვეთი ვალდებულია შეასრულოს ყველა მოთხოვნა და მიიღოს ყველა საჭირო მოწმობა/თანხმობა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება საქონლის შეუფერხებელ გადმოტვირთვა/ჩატვირთვას.

6. ტვირთთან დაკავშირებული შემსრულებლის ვალდებულებები

1. იმ შემთხვევაში, თუ ხდება საქონლის გემიდან ჩამოტვირთვა, გამოიყენება წინამდებარე პუნქტით დადგენილი ვალდებულებები. გემიდან საქონლის ჩამოტვირთვის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია:

1.1. გემიდან ჩამოტვირთოს საქონელი და მოახდინოს მათი დასაწყობება ტერმინალის ტერიტორიაზე;

1.2. ტერმინალიდან საქონლის გატანამდე უზრუნველყოს მისი შენახვა.

1.3. საქონლის ჩამოტვირთვისას მოახდინოს საქონლის ზოგადი ვიზუალური დათვალიერება და დაზიანების არსებობის შემთხვევაში შეადგინოს სპეციალური აქტი და წარუდგინოს ის შემკვეთს.

1.4. მოახდინოს დასაწყობებული/გადმოტვირთული საქონლის დატვირთვა შემკვეთის მიერ მითითებულ სატრანსპორტო საშუალებაზე ტერმინალიდან საქონლის გატანის მიზნით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხდება საქონლის ჩატვირთვა გემში, გამოიყენება წინამდებარე პუნქტით დადგენილი ვალდებულებები. გემში საქონლის ჩატვირთვის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია:

2.1. მოამზადოს ნავმისადგომი სატვირთო ოპერაციებისატვის;

2.2. საჭიროების შემთხვევაში, გემში ჩატვირთვამდე უზრუნველყოს საქონლის დასაწყობება და შენახვა;

2.3. შეუფერხებლად მოახდინოს საქონლის გემში ჩატვირთვა დადგენილი გრაფიკის შესაბამისად;

2.4. მიაწოდოს შემკვეთს ინფორმაცია გემში საქონლის ჩარტვირთვის პროცესთან დაკავშირებით.

7. ტვირთთან დაკავშირებული შემკვეთის ვალდებულებებია

1. იმ შემთხვევაში, თუ ხდება საქონლის გემიდან ჩამოტვირთვა, გამოიყენება წინამდებარე პუნქტით დადგენილი ვალდებულებები. გემიდან საქონლის ჩამოტვირთვის შემთხვევაში, შემკვეთი ვალდებულია:

1.1. უზრუნველყოს საქონლის მომზადება გემიდან ჩამოსატვირთად.

1.2. საქონლის ჩამოტვირთვის პროცესში დანიშნოს თავისი წარმომადგენელი (სურვეიერი ან სხვა უფლებამოსილი პირი), რომელიც შეამოწმებს საქონლის მდგომარეობას გემიდან ჩამოტვირთვამდე და რაიმე სახის დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში ტერმინალის წარმომადგენელთან ერთად მოახდენს შესაბამისი დოკუმენტის შედგენას.

1.3. უზრუნველყოს დასაწყობებული საქონლის გატანა ტერმინალის ტერიტორიიდან შესაბამის დროს.

1.4. აღმოფხვრას ნებისმიერი პრობლემა, რომელმაც შესაძლებელია შეაფერხოს საქონლის გემიდან ჩამოტვირთვის პროცედურა;

1.5. მიაწოდოს შემსრულებელს ყველა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საქონლის შესაბამისი გატმოტვირტვისა და დამუშავებისათვის;

2. იმ შემთხვევაში, თუ ხდება საქონლის გემში ჩატვირთვა, გამოიყენება წინამდებარე პუნქტით დადგენილი ვალდებულებები. გემში საქონლის ჩატვირთვის შემთხვევაში, შემკვეთი ვალდებულია:

2.1. მიაწოდოს შემსრულებელს ტვირთი შემსრულებლის ინსტრუქციების შესაბამისად.

2.2. მოამზადოს ტვირთი საქონლის გემში ჩასატვირთად;

2.3. ამცნოს შემსრულებელს გემის მზადყოფნის შესახებ საქონლის ჩასატვირთად;

2.4. მიაწოდოს შემსრულებელს ინფორმაცია საქონლის გემში ჩატვირთვის თავისუებურების შესახებ;

3. გარდა განსაზღვრული ვალდებულებებისა, შემკვეთი საქონლის გემში ჩატვირთვის/ჩამოტვირთვის შემთხვევაში ვალდებულია:

3.1. ტერმინალის, ნავსადგურის ან გარემოს დაბინძურების შემთხვევაში დაფაროს ასეთი მოქმედებისაგან გამოწვეული ყველა ხარჯი.

3.2. ტერმინალის და საბაჟოს მითითებების შესაბამისად შეასრულოს და მკაცრად დაიცვას ყველა პროცედურა, რომელიც დაკავშირებულია ტვირთის მიწოდებასა და მიღებასთან.

3.3. წარმოადგინოს ყველა საჭირო ინფორმაცია ტვირთის მოცულობის, სახეობისა და სხვა თავისებურებების შესახებ.

3.4. დანიშნოს ნავსადგურის ტერიტორიაზე უსაფრთხოების წესების დაცვაზე ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი.

3.5. შეასრულოს და დაიცვას ყველა შესაბამისი საპორტო, საბაჟო, საპოლიციო, სატერმინალო წესები, დებულებები და ტარიფები.

4. შემკვეთი აცნობიერებს, რომ ბათუმის ნავსადგურის მე-4 და მე-5 ნავმისადგომი უპირატესად განკუთვნილია საკონტეინერო გემის ოპირირებისათვის. შემსრულებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემკვეთს გემის დაუყოვნებლივ გაყვანა საკონტეინერო გემის ნავმისადგომთან დადგომის უზრუნველყოფის მიზნით. ასეთი ინსტრუქცია უნდა შესრულდეს მიღებისთანავე. შემკვეთის გემის ნავმისადგომთან დაყენება სხვა არასაკონტეინერო გემებთან მიმართებაში განხორციელდება "პირველად შემოსული პირველად დამუშავებული" პრინციპის შესაბამისად.

5. სატვირთო ოპერაციის თავისებურების ან წინამდებარე მუხლისაგან განსხვავებული ვალდებულების/პირობის დადგენის შემთხვევაში ეს ასახული იქნება სმშ-ში.

8. მომსახურებასთან დაკავშირებული სპეციალური პირობები

1. შემსრულებელი თავის კონტროლირებად ტერიტორიაზე მიიღებს ყველა ზომას, რათა თავიდან იქნეს არიდებული ტვირთის ჩატვირთვა/გადმოტვირთვის შეფერხება ან გაუქმება. შემსრულებელი ვერ იქნება პასუხისმგებელი და ვალდებული იმ დანაკარგებზე, რომლებიც გამოწვეული იქნება შემკვეთის და/ან გემის ოპერატორის მიერ და რომლებიც დაკავშირებული იქნება ზემოხსენებულ ჩატვირთვა/გადმოტვირთვის შეფერხებასა და/ან გაუქმებასთან.

2. შემსრულებელი არ ახდენს საქონლის მდგომარეობის დეტალურ შემოწმებას გადმოტვირთვის პროცესში და ის არ არის პასუხისმგებელი რაიმე სახის დაზიანებაზე, რომელის შემჩნევაც შეუძლებელია საქონლის ზოგადი ვიზუალური დათვალიერებისას. შემკვეთი ვალდებულია მოახდინოს საქონლის დეტალური ტექნიკური შემოწმება გემიდან გადმოტვირთვამდე. შემსრულებლის ვალდებულება საქონლის მიმართ ვრცელდება მხოლოდ საქონლის ტერმინალის ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდში.

3. შემკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსრულებელმა შესაძლებელია შემკვეთს გაუწიოს დამატებითი მომსახურება, რომელიც დაკავშირებული შეიძლება იყოს სატვირთო მომსახურებასთან და ასევე სხვა ნებისმიერი სახის მომსახურებასთან, რომლის მიწოდებაც შეუძლია შემსრულებელს. ასეთ დროს დამატებითი მომსახურების ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით კონკრეტული მომსახურების ხასიათიდან გამომდინარე.

9. უსაფრთხოების წესები

1. ტერმინალის ტერიტორიაზე ყოფნისას **შემკვეთი** და მისი სახელით მოქმედი ნებისმიერი პირი ვალდებულია დაიცვას სამუშაოთა უსაფრთხოების წესები და მათი დაუცველობის შემთხვევაში პასუხისმგებელნი არიან ნებისმიერ დამდგარ ზიანზე;

10. მომსახურების ღირებულება და გადახდის პირობები

1. მომსახურების ღირებულება განისაზღვრება სატვირთო მომსახურების შეკვეთით.
2. სატვირთო ოპერაციის შემკვეთის ბრალით დაგვიანების შემთხვევაში შემკვეთი უხდის შემსრულებელს მოცდენის ღირებულებას შემსრულებლის მიერ დაწესებული ტარიფების მიხედვით;
3. მომსახურების ღირებულების გადახდა უნდა მოხდეს შემსრულებლის მიერ მითითებულ ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით;
4. ანგარიშფაქტურის გამოწერა ხდება მომსახურების დაწყებამდე;
5. ანგარიშსწორება უნდა მოხდეს წინასწარ, მომსახურების დაწყებამდე.
6. წინასწარ გადახდის გარეშე მომსახურების გაწევა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემკვეთის მიერ მოსახურების დაწყებამდე წარმოდგენილი იქნება შესაბამისი საბანკო გარანტია ან სადაზღვევო პოლისი.

11. სატვირთო მომსახურების შეკვეთის მოქმედების ვადა

1. სმშ მხარეთათვის ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და ძალას კარგავს მხარეთა მიერ შეკვეთით გათვალსიწინებული ვალდებულებების შესრულების მომენტიდან;
2. იმ შემთხვევაში თუ შემკვეთი უხეშად არღვევს შეკვეთით გათვალისწინებულ პირობებს, შემსრულებელს უფლება აქვს ვადის გასვლამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შეკვეთის მოქმედება მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით;
3. სატვირთო მომსახურების შეკვეთა შეწყვეტილად ითვლება შეტყობინების გადაცემის მომენტიდან.

12. წარმომადგენლობა, დასტურები და გარანტიები

1. სატვირთო მომსახურების პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ ისინი აღჭურვილნი არიან სმშ-ს დადებისა და შესრულების სათანადო უფლებამოსილებებით და მოქმედებენ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში.

2. მხარეები ადასტურებენ, რომ სმშ-ს ხელმოწერის მომენტისათვის მათ არა აქვთ დადებული რაიმე გარიგება, ან არა აქვთ ნაკისრი რაიმე ვალდებულება და მათთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც თუნდაც უმნიშვნელოდ შეაფერხებს, შეაჩერებს ან შეუძლებელს გახდის მხარეთა მიერ ამ პირობებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას.

3. მხარეები ადასტურებენ თავიანთ მზადყოფნას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად, კეთილსინდისიერად, ჯეროვნად და დათქმულ ვადებში შეასრულებენ წინამდებარე პირობებითა და სმშ-თ ნაკისრ ვალდებულებებს.

4. შემკვეთი იძლევა გარანტიას და ადასტურებს, რომ არ არსებობს კანონი, კანონქვემდებარე აქტი, ხელისუფლების რომელიმე აქტი, გადაწყვეტილება, ან\და დადგენილება, ბრძანებულება თუ განკარგულება ან სასამართლო ან\და საარბიტრაჟო დაწესებულების გადაწყვეტილება, მიმდინარე ან/და ცნობილი, მათ შორის ისეთი რომელიც უნდა ყოფილიყო მისთვის ცნობილი, სასამართლო თუ საარბიტრაჟო დავა, რომელიც თუნდაც უმნიშვნელო ზეგავლენას მოახდენს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე მთლიანობაში, ან\და მისი ცალკეული ნაწილის აღსრულებაზე მისი მხრიდან.

13. დაუძლეველი ძალა

1. წინამდებარე პირობების მოქმედების შემთხვევაში, დაუძლეველი ძალა მხარისათვის ნიშნავს ისეთ მოვლენას ან გარემოებას, რომელსაც მოცემული მხარე გონივრულად ვერ აკონტროლებს და რომლის თავიდან აცილება, შეჩერება ან გამოსწორება არ ხერხდება, მიუხედავად მოცემული მხარის გონივრული ძალისხმევისა და რომლის შედეგადაც ან რომლის გამოც რომელიმე მხარე ვერ ასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

2. არცერთ მხარეს არ მოეთხოვება წინამდებარე პირობების შესრულება და არ ჩაეთ-ვლება ვალდებულების შეუსრულებლობად, თუ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზი არის დაუძლეველი ძალა.

3. დაუძლეველი ძალის შემთხვევაში, მხარემ, რომელსაც იგი უშუალოდ შეეხება რაც შეიძლება პრაქტიკულად მოკლე ხანში უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს ამ მოვლენის შესახებ, რასაც თან უნდა დაურთოს მისი დამადასტურებელი შესაბამისი ფაქტები და მისი სავარაუდო შედეგებისა და ხანგრძლივობის შესახებ მონაცემები.

4. იმ შემთხვევაში, თუ დაუძლეველი ძალის გამო სატვირთო მომსახურების შეკვეთის შესრულება შეწყდება 5 (ხუთ) დღეზე მეტი ვადით, მხარეებს აქვთ უფლება შეწყვიტონ სმშ-ს მოქმედება და მოახდინონან ანგარიშსწორება ფაქტობრივად განხორციელებული მომსახურების პროპორციულად;

14. დავათა გადაწყვეტა

1. მხარეები იღებენ ყველა ზომას, რათა ამ პირობებიდან გამომდინარე ყველა დავა ან წინააღმდეგობა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით.
2. საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ყველა სახის დავა, რომლებიც წარმოიშვება მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს შორის წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე ან მისგან გამომდინარე განიხილება და გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით, შემსრულებლის ადგილსამყოფელის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
3. მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და მხარეები არ გაასაჩივრებენ მას
4. დავის არსებობა არ წარმოადგენს სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველს და მხარეები ვალდებულნი არიან გააგრძელონ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გარდა სადავო საკითხისა.

15. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე პირობების მიმართ მოქმედებს საქართველოს სამართალი;
2. წინამდებარე წესებში დამატებების და ცვლილებების შეტანა ცალმხრივად ხდება შემსრულებლის მიერ. ცვლილებებსა და დამატებებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა უკვე არსებული სატვირთო მომსახურების ურთიერთობების მიმართ;
3. საკითხები, რომლებიც არ განისაზღვრება წინამდებარე პირობებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
4. პირობებში გამოყენებული ტერმინებისა და დებულებების განმარტებას ახდენს შემსრულებელი, რაც სავალდებულოა სატვირთო მომსახურების ურთიერთობებში მონაწილე მხარეთათვის.

სატვირთო მომსახურების შეკვეთა
Loading Service Order

1	შემსრულებელი /Executor	შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“ LLC „Batumi International Container Terminal“
2	შემკვეთი/Client	შპს „--------„ (ს/ნ----) LLC -------- (ID #------)
3	გემის სახელწოდება და რეისი Vessel & voyage no	
4	სატვირთო მომსახურების შეკვეთის გაფორმების თარიღი Date of establishing Loading Service Order	--/--/2014
5	საქონლის სახეობა Type of Cargo	
6	სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გამოიყენება საქონლის მიღებისათვის/მიწოდებისათვის Transport mean which is used for receipt/supply of cargo	
7	სატვირთო ოპერაციის პირობები Conditions of cargo operation	
8	სატვირთო ოპერაციის ვადა Loading operation term	
9	სატვირთო მომსახურების ღირებულება Reloading price	
10	სატვირთო მომსახურების ღირებულების დათვლის დამატებითი პირობები Additional conditions of Reloading Price calculation	
11	ტერმინალის მოცდენის პირობები Terminal detention conditions	
12	მომსახურების დამატებითი/განსაკუთრებული პირობა Additional/special conditions of Reloading	

Prepared by: Ketevan Oragvelidze	Reviewed by: 1. Benjamin Rosario; 2. Davit Chkonia	Approved by: Aurelio C. Garcia
Marketing Manager	1. CFO 2. Lawyer	Managing Director

13	სატვირთო მომსახურების პირობები/Loading Service Terms • წინამდებარე შეკვეთის მიმართ მოქმედებს შემსრულებლის მიერ დამტკიცებული „სატვირთო მომსახურების პირობები", რომელიც წარმოადგენს წინამდებარე შეკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს. • The "Loading Service Terms" adopted by Executor is applicable to this Order and is integral part of existing Order. • შემკვეთი ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ ის იცნობს "სატვირთო მომსახურების პირობებს", ეთანხმება მას და იღებს ვალდებულებას მისი პირობების შესრულებაზე. • Client indisputably confirms that he/she is introduced with Loading Service Terms, agrees to it and takes obligation to fulfill its conditions. • სატვირთო მომსახურების შეკვეთასა და სატვირთო მომსახურების პირობებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სავირთო მომსახურების შეკვეთის პირობებს. • In case of controversy between conditions of Loading Service Terms and Loading Service Order conditions of Loading Service Order will prevail. • სატვირთო მომსახურების შეკვეთა წარმოადგენს სატვირთო მომსახურების ხელშეკრულებას, რომელზე ხელის მოწერით შემკვეთ ადასტურებს თავის უფლებამოსილებას მსგავსი შეთანხმების დადებაზე და იღებს შესაბამის პასუხსიმგებლობას. • Loading Service Order is a contract on loading service and by signing it Client confirms his authorization on establishing such agreement and takes appropriate responsibility. • ტერმინალის მოცდენის პირობები განისაზღვრება შემსრულებლის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად. • Terminal detention conditions are defined by tariffs adopted by the Executor.